კონფიდენციალური
XX-XX-XXXX

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
#XXXXXXXXXX გენერალური ხელშეკრულების შემადგენელი
საკრედიტო ხელშეკრულება #XXXXXXXXXX-X

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი
* კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
* კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: X%
* კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: X%

ფინანსური ხარჯები
* ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა+პროცენტი+დაზღვევა): X
* ვადის ბოლოს შენატანი: X ლარი
* დაზღვევის ღირებულება: X ლარი
* კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი: X ლარი
*გადასახდელი საკრედიტო საინფორმაციო ბიუროდან ინფორმაციის მოძიებისთვის: X ლარი
* ადმინისტრაციულ ორგანოში გადასახდელი: X ლარი

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია
* კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა: X ლარი
* მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: X ლარი
* კრედიტის ვადა: XX-XX-XXXX
* საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: XX-XX-XXXX
* წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს: მსესხებლის საკუთარი სახსრებით კრედიტის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში - გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის: 2%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი; 1%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა; 0.5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა; 0%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა. სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში - თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი 6 თვეზე მეტი ვადა; 0%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა
* პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე: პირველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო განისაზღვრება X ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მომდევნო ვადაგადაცილებულ დღეზე - გადაცილებული შენატანის (კრედიტის ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი) X %. იმავდროულად მომდევნო დღეებზე დასარიცხი პირგასამტეხლოს დღიურმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-ს, ხოლო ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ

აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამურმა მოცულობამ - მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
* უზრუნველყოფის ცვლილების საკომისიო: უზრუნველყოფის საგირავნო ღირებულების X%

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხოლო ისეთი ცვლილების განხორციელებისას, რაც არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას, მსესხებლის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ პირობის ცვლილება ხორციელდება მომხმარებლის სასარგებლოდ.

* მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.
ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების პირობები/პრაქტიკული ინსტრუქციები მოცემულია საკრედიტო ხელშეკრულების 3.3 პუნქტში. [1]

* მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია მიკრობანკის ამლ და შესაბამისობის დეპარტამენტში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (ელ. ფოსტაზე - Complaint@crystal.ge).

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 0322406406.

“მიკრობანკი“ **"მსესხებელი(მომხმარებელი)/ წარმომადგენელი"**

წარმომადგენელი: _____ _____

იდენტიფიკაციის შემსრულებელი: _____ / ხელმოწერა /

---

[1] „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანების მიხედვით ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების არარსებობის შემთხვევაში მითითებული იქნება შემდეგი ჩანაწერი:
* მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მიხედვით.

კონფიდენციალური
XX-XX-XXXX

კრედიტის #XXXX

#XXXXXXXXXX გენერალური ხელშეკრულების შემადგენელი
საკრედიტო ხელშეკრულება #XXXXXXXXXX-X

1. ხელშეკრულების მხარეები
1.1 **მიკრობანკი** - სს ,,მიკრობანკი კრისტალი"; საიდენტიფიკაციო კოდი: 212896570; იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა #22; ფაქტობრივი მისამართი: XXXXX

1.2 **მსესხებელი** - XXX XXXX, იურიდიული მისამართი: XXX ფაქტობრივი მისამართი: XXX, პირადი ნომერი: XXXXXXXXXXX, დაბადების თარიღი: XX-XX-XXXX, მობილური ტელეფონის ნომერი: XXX XX XX XX,

მიკრობანკი და მსესხებელი ვდებთ წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება'') შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიკრობანკი გასცემს მსესხებელზე სასყიდლიან კრედიტს სესხის ფორმით, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას დროულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და ამავე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილებით (თავსართი, დანართ(ებ)ი) მიკრობანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები.

3. ძირითადი პირობები
3.1 კრედიტის მნიშვნელოვან პირობებთან (თავსართი) ერთად ასევე განისაზღვრება შემდეგი პირობები:

3.1.1 კრედიტის მთლიანი თანხიდან მისაღები თანხის ოდენობა:	X ლარი
3.1.2 ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი (წლიური საპროცენტო განაკვეთის მეთორმეტედი, დარიცხული კრედიტის ნარჩენ ძირზე):	X%
3.1.3 კრედიტის მიზნობრიობა :	განაცხადში მითითებული კრედიტის მიზნობრიობა
3.1.4 უზრუნველყოფა:	#XXXXXX

3.2 დამატებითი პირობები და ინფორმაცია:
3.2.1 კრედიტის (სესხის) გაცემა:
3.2.1.1 ტრანშებად გაცემის შემთხვევაში: ა) პროცენტის დარიცხვა ხდება გაცემული თანხის ოდენობიდან; ბ) ტრანშების გაცემა ხდება შეთანხმებული ტრანშების გეგმის/დათქმების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იმავდროულად ყოველი წინა ტრანშის პირობების მსესხებლის მხრიდან სრულად შესრულების შემთხვევაში. გ) კრედიტის დაფარვის გრაფიკი გაფორმდება ყოველი ტრანშის გაცემისას გაცემულ ერთიან თანხაზე; დ) მიკრობანკს უფლება აქვს არ გასცეს/შეწყვიტოს ტრანშის გაცემა, იმ შემთხვევაში თუ დაირღვევა ტრანშების გაცემისთვის დათქმული ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული რომელიმე პირობა.
3.2.1.2 მსესხებლის მხარეს ერთზე მეტი პირის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის გაცემა ხორციელდება მსესხებლების ჩამონათვალში რიგით პირველ პირზე.
3.2.2. კრედიტის დაფარვა უნდა განხორციელდეს თანდართული კრედიტის დაფარვის გრაფიკის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს და განუყოფელ ნაწილს. ამასთან, გრაფიკის შესრულებად ითვლება გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადახდის დღეს, მსესხებლის ანგარიშზე გრაფიკით გათვალისწინებული თანხის არსებობა და ამავდროულად ანგარიშზე

შეზღუდვის არარსებობა. თუ გრაფიკში მითითებული გადახდის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, გადახდა უნდა მოხდეს მომდევნო სამუშაო დღეს. ამ პუნქტის მიზნებისთვის არასამუშაო დღეებში იგულისხმება შაბათი, კვირა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები.
3.2.3 საპროცენტო სარგებელი იანგარიშება საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წლიურად 365 დღეზე, ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღეზე გაანგარიშებით. კრედიტზე ვადაგადაცილების შემთხვევაში დარიცხული საპროცენტო სარგებელის თანხა ყოველთვის მეტი იქნება თანდართულ გრაფიკში მითითებულ საპროცენტო სარგებლის თანხაზე.
3.2.4 კრედიტის დაფარვის თანმიმდევრობა არის შემდეგი: კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი, პირგასამტეხლო (ასეთი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში), დარიცხული საპროცენტო სარგებელი, სადაზღვევო ხარჯი, სესხის ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს მიკრობანკის შეხედულებით.
3.2.5 თუ მსესხებელს აქვს რამოდენიმე შესასრულებელი საკრედიტო ვალდებულება, ხოლო ანგარიშზე არსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, მსესხებელი უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს/დააფიქსიროს ვალდებულებების დაფარვის რიგითობა, რაც შეუძლია განახორციელოს ვალდებულების დაფარვამდე მიკრობანკის საფილიალო ქსელში, სპეციალურ განაცხადზე ხელმოწერით. თუ მსესხებელი არ ისარგებლებს აღნიშნული უფლებით, მიკრობანკს ენიჭება უფლებამოსილება თავად განსაზღვროს მსესხებლის ვალდებულებების შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა), ანუ ცალმხრივად გადაწყვიტოს, თუ რა ოდენობით და რომელ პროდუქტთან დაკავშირებული დავალიანება დაიფაროს.
3.2.6 მხარეები თანხმდებიან, რომ კრედიტის წინსწრებით (ნაწილობრივ ან სრულად) დასაფარად თანხის შესაბამის ანგარიშზე განთავსებისას მიკრობანკი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენს კრედიტის წინსწრებით დაფარვას, თუ მსესხებელი წერილობითი განცხადებით მიმართავს მიკრობანკს. მსესხებლისთვის ცნობილია, რომ ზეპირი განაცხადი არ ჩაითვლება სათანადო წესით გაკეთებულ მოთხოვნად, შესაბამისად პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება მოქმედი გრაფიკის მიხედვით და პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში მიკრობანკი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. კრედიტის წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ოდენობა მოცემულია ხელშეკრულების თავსართში, ამასთან, მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს წინსწრების თარიღამდე დარიცხული ყველა გადასახდელი, მათ შორის, საპროცენტო სარგებელი და (დაზღვევის არსებობის შემთხვევაში) სადაზღვევო პრემია (აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს კრედიტზე საშეღავათო პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხორციელებული წინსწრების დროსაც). ამასთან, კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია წარუდგინოს მიკრობანკს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი წინამდებარე პუნქტში მითითებულ წერილობით განცხადებასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიკრობანკი უფლებამოსილი იქნება წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ოდენობა განსაზღვროს წინამდებარე ხელშეკრულების თავსართით საკუთარი სახსრებით წინსწრების დაფარვისთვის დადგენილი ოდენობის შესაბამისად.
3.2.7 ხელშეკრულებით ერთზე მეტი მსესხებლის არსებობის შემთხვევაში: ა)ყველგან სადაც ტერმინი „მსესხებელი“ აღნიშნულია მხოლობით რიცხვში, გულისხმობს ყველა მსესხებელს; ბ)თითოეული მათგანი წარმოადგენს მიკრობანკის მიმართ სოლიდარულ მოვალეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე; გ) ამავე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ცვლილების შესახებ ხელშეკრულებაზე/დანართ(ებ)ზე ყველა მათგანის ხელმოწერის გზით, გარდა მიკრობანკის მხრიდან ცალმხრივი ცვლილების უფლების გამოყენებისა ან ხელშეკრულების 3.2.6 პუნქტით გათვალისწინებული წინსწრებით ნაწილობრივ დაფარვისას გრაფიკის ცვლილებისას. ამ უკანასკნელ ოპერაციასთან დაკავშირებით თითოეული მსესხებელი ანიჭებს შესაბამისად სხვა მსესხებელ(ებ)ს უფლებას დამოუკიდებლად და იმავდროულად ყველა მსესხებლის სახელით განახორციელოს შესაბამისი მოქმედებები, რაც გულისხმობს, როგორც თანხის შეტანას, ასევე წინსწრებით ნაწილობრივი დაფარვის განცხადებაზე და შეცვლილ გრაფიკზე ხელმოწერის უფლებას. დ) ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების არსებობისას (ასეთის არსებობა/არ არსებობა მითითებულია ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებში) ერთ-ერთი მსესხებლის ნების გამოვლენა და განცხადების წარდგენა საკმარისია ამ უფლებით სარგებლობისთვის.
3.2.8 სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიკრობანკისათვის (დაზღვევის მიზნებისთვის - ,,მოსარგებლე'') ჩარიცხვისთანავე, აღნიშნული

თანხა მიმართული იქნება კრედიტის წინსწრებით (სრულად ან ნაწილობრივ) დასაფარად. კრედიტის წინსწრებით ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, მიკრობანკს ენიჭება უფლება განახორციელოს კრედიტზე ყოველთვიურად დასაფარი თანხის შემცირება კრედიტის არსებული ვადის შენარჩუნებით და შესაბამისად, ცალმხრივად შეცვალოს კრედიტის დაფარვის გრაფიკი.

[3.3 საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების პირობები/პრაქტიკული ინსტრუქციები:

3.3.1 მსესხებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე შემდეგი პირობების/ვადის დაცვით:

ა) ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება მოქმედებს 14 კალენდარული დღის განმავლობაში, რომლის ათვლა იწყება წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან.

ბ) მსესხებელმა ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ მიკრობანკს უნდა აცნობოს მის ნებისმიერ ფილიალში წერილობითი განცხადების წარდგენის გზით. მიკრობანკის ფილიალებთან დაკავშირებით ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე www.crystal.ge.

გ) ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების წარდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა მსესხებელმა მიკრობანკს უნდა გადაუხადოს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა და ამ თანხაზე კრედიტით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში საკრედიტო ხელშეკრულებით შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი, კრედიტით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში დარიცხული და გადაუხდელი სადაზღვევო პრემია(დაზღვევის არსებობის შემთხვევაში), ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასური ან/და სანოტარო ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებში. ამასთან, თუ წინამდებარე ქვეპუნქტში მითითებულ ვადაში მსესხებლის მიერ მიკრობანკისათვის თანხის დაბრუნება განხორციელდა ეტაპობრივად (ნაწილ-ნაწილ), მიკრობანკი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენს კრედიტის წინსწრებით დაფარვას, თუ მსესხებელი აღნიშნულთან დაკავშირებით, თითოეული ასეთი გადახდისას, წერილობითი განცხადებით მიმართავს მიკრობანკს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება ხელშეკრულებით დადგენილი წესით, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე.

3.3.2 იმ შემთხვევაში, თუ: 1) ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე მსესხებლის განცხადება ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ წარედგინა მიკრობანკს, ან 2) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მსესხებელმა არ განხორციელა მიკრობანკისათვის თანხის სრულად დაბრუნება, ითვლება, რომ მსესხებელს უარის თქმის უფლება არ განუხორციელებია, შესაბამისად, ხელშეკრულება შეწყვეტილად არ ჩაითვლება და გაგრძელდება წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობა. ხელშეკრულება შეწყვეტილად ასევე არ ჩაითვლება, თუ თანხის მიკრობანკის მიერ მსესხებლის ვალდებულების დასაფარად მიმართვის მომენტისათვის მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე წარმოდგენილია ინკასო, ყადაღა და/ან მოქმედებს სხვა სახის შეზღუდვა/აკრძალვა.

3.3.3 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით 3.3.1 პუნქტით დადგენილი პირობებით სარგებლობის შემთხვევაში, მიკრობანკი დაუბრუნებს მსესხებელს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილ ყველა იმ ხარჯს/საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რისი გადახდის ვალდებულებაც უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში არ ეკისრება მსესხებელს. მიკრობანკი უფლებამოსილია შესაბამისი თანხის, კერძოდ, მის მიერ გადასახდელი და მსესხებლის მიერ დასაბრუნებელი თანხის, ფარგლებში მოახდინოს ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვა.

3.3.4 მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება 3.3.1 პუნქტში მითითებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემდეგ.][2]

---

[2] აღნიშნული ტექსტი (კერძოდ, ხელშეკრულების 3.3 პუნქტი) საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებული იქნება მხოლოდ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანების მიხედვით ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების არსებობის შემთხვევაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები

4.1 მხარეები ვალდებულნი არიან:

4.1.1. დაიცვან კონფიდენციალურობა და უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების გარანტიები და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა, რაც დგინდება როგორც მოქმედი კანონმდებლობით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით.

4.1.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ მათი საქმიანობით არ აყენებენ ნეგატიურ გავლენას ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოს.

4.2 მსესხებელი ვალდებულია:

4.2.1 მიკრობანკის მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს 5 დღისა), წარმოადგინოს მისი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები (მათ შორის, ფინანსური დოკუმენტები, ხელშეკრულებები და ა.შ).

4.2.2 მისი ფინანსური ან ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების, ან ამგვარი საფრთხის არსებობისას, აცნობოს მიკრობანკს და წარმოადგინოს დამატებითი გარანტიები, რომელსაც მიკრობანკი მიიჩნევს დამაკმაყოფილებლად.

4.3. მსესხებელი თანახმაა და იღებს ვალდებულებას, რომ:

4.3.1 მის რეკვიზიტებში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტა (მათ შორის, სესხის განაცხადში მითითებული ელ. ფოსტა)გამოყენებულ იქნას მიკრობანკის მიერ მასთან დასაკავშირებლად ან/და ტექსტური ინფორმაციის მისაწოდებლად. გაგზავნილი შეტყობინება მსესხებლისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.

4.3.2 მსესხებელი მობილური ნომრის ცვლილებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობებს მიკრობანკს ახალ ნომერს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიკრობანკი უფლებას იტოვებს აღნიშნული ნომრის სხვა მომხმარებელზე დუბლირებისას, ამ მომხმარებელთან ნომრის ვერიფიცირების შემდეგ, ამოშალოს მსესხებლის მონაცემებიდან დუბლირებული ტელეფონის ნომერი.

4.3.3 დუბლირებისას მსესხებლის მონაცემებიდან ტელეფონის ნომრის ამოშლის შემთხვევაში, მიკრობანკი თავისუფლდება მსესხებლისათვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო წარმოშობილი პასუხისმგებლობისაგან.

4.3.4 უზრუნველყოფს მიკრობანკის დაუყოვნებელ ინფორმირებას მის პირად მონაცემებში (სახელი, გვარი, მისამართი ან/და მიკრობანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია), ასევე მსესხებელი თუ იურიდიული პირია - დამატებით მის დამფუძნებლებთან/ბენეფიციარ მესაკუთრეებთან/დირექტორებთან/პარტნიორებთან დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში;

4.3.5 იცნობს შემდეგ ინფორმაციას მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებით: ა) იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის თანხა განისაზღვრება უცხოური ვალუტით, მსესხებლისათვის ცნობილია და გათავისებული აქვს შესაბამისი სავალუტო რისკების არსებობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ მისი შემოსავლები ფიქსირდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი). ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის ან/და ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულების ღონისძიებები, მათ შორის: მსესხებლისა და არსებობის შემთხვევაში სესხის უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებების მხარეების საბანკო ანგარიშ(ებ)ზე განთავსებული თანხ(ებ)ის ცალმხრივად განკარგვა (იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხა და მიკრობანკის მიმართ არსებული დავალიანება სხვადასხვა ვალუტაშია, მიკრობანკს უფლება აქვს განახორციელოს კონვერტაცია მიკრობანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით და კონვერტირებული თანხა მიმართოს მსესხებლის ვალდებულების დასაფარად), ყადაღის დადება საბანკო ანგარიშებზე,საკუთრებაში არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებაზე, ქონებ(ებ)ის იძულებითი წესით რეალიზაცია.

4.3.6 მსესხებელი აცხადებს, რომ:

ა) არ ახორციელებს/განახორციელებს საქმიანობებს, რომელთა ჩამონათვალი განთავსებულია ვებგვერდზე https://crystal.ge/adb-pial/. აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ კრედიტი მიიჩნევა აზიის განვითარების ბანკისგან მოზიდული რესურსის ქვეშ გაცემულად და აღნიშნულის თაობაზე მიკრობანკის მხრიდან განხორციელდება მსესხებლის ინფორმირება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე სმს შეტყობინების მეშვეობით. მსესხებელი აქვე ადასტურებს, რომ მის საქმიანობაში არ იყენებს/გამოიყენებს ბავშვთა

ან იძულებით შრომას, რაც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებით: #138, #182, #29 და #105.
ბ) არ ასრულებს/შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში - დამატებითი პირობები და ვადები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მოცემული ქვეპუნქტი მოქმედია იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის ოდენობა აღემატება 3000 ლარს.
4.4. მიკრობანკი ვალდებულია:
4.4.1 უზრუნველყოფის მიმწოდებლ(ებ)ისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელთან გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი და ამავე ხელშეკრულების ასლები იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია მსესხებელთან. აღნიშნულის თაობაზე მსესხებელი ადასტურებს, რომ წინასწარ იქნა ინფორმირებული მიკრობანკის მხრიდან.
4.4.2 კრედიტზე დავალიანების წარმოშობისთანავე, გამოიყენოს მსესხებლის მიერ მისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაცია და მსესხებელს, ასევე არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფის მიმწოდებელს (თავდები, იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრე) შეატყობინოს აღნიშნული გარემოების დადგომასთან დაკავშირებით.
4.5. მიკრობანკს უფლება აქვს:
4.5.1. მის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, ასეთი ვალდებულების წარმოშობისთანავე, მსესხებლის შემდგომი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას თანხა მსესხებლის მიკრობანკში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან წინამდებარე ხელშეკრულებითა და საბანკო ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე www.crystal.ge, დადგენილი წესით.
4.5.2 მსესხებლის მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოსთვის ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადასახდელი მომსახურების საფასური ან/და კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული სხვა გადასახდელი მსესხებლის შემდგომი თანხმობის გარეშე გადარიცხოს მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან შესაბამისი პირის ანგარიშზე.
4.5.3 თუ მსესხებლის ნებისმიერ ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშზე) დარეგისტრირდება რაიმე სახის უფლებრივი შეზღუდვა, მიკრობანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად განაცხადოს უარი წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
4.5.4 თუ საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრულია კრედიტის გამოყენების მიზნობრიობა, საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა (ან მისი ნაწილი) მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე გადარიცხოს საკრედიტო ხელშეკრულებით (ან/და შესაბამისი განაცხადით) განსაზღვრული მესამე პირის (მიმღების) ანგარიშზე.
4.5.5 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შესრულება მიიღოს მესამე პირისგან.
4.5.6. თუ წინამდებარე ხელშეკრულება უზრუნველყოფილია იპოთეკით ან/და გირავნობით და უშუალოდ საკრედიტო ხელშეკრულებით ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული, იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის სარეალიზაციოდ მიქცევის შემთხვევაში თუ ამონაგები თანხა არ იქნება საკმარისი მიკრობანკის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, გადახდევინება მიაქციოს მსესხებლის (არსებობის შემთხვევაში თავდებ(ებ)ის) ნებისმიერ სხვა ქონებაზე.

5. პრეტენზი(ებ)ის განხილვის პროცედურა
5.1. მსესხებელი უფლებამოსილია მიმართოს მიკრობანკს პრეტენზიით (ნებისმიერი ზეპირი ან წერილობითი განცხადება, რომლითაც მსესხებელი გამოხატავს უკმაყოფილებას, დაუთანხმებლობას). პრეტენზიის ზეპირად დაფიქსირების შემთხვევაში მიკრობანკი მსესხებელს შესთავაზებს პრეტენზიის დაფიქსირების სტანდარტულ წერილობით ან ელექტრონულ ფორმას. პრეტენზიის წერილობითი ან ელექტრონული ფორმით წარდგენისას მიკრობანკი ახდენს მისი მიღების დადასტურებას. მსესხებელს პრეტენზიის ელექტრონული ფორმით დაფიქსირების შესაძლებლობა აქვს მიკრობანკის ელექტრონულ მისამართზე - Complaint@crystal.ge. პრეტენზიის დაფიქსირება ასევე შესაძლებელია მიკრობანკის სატელეფონო ცენტრში, ნომერზე +99532 2 022020.
5.2. მსესხებლის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (ერთი) კალენდარული თვე. პრეტენზიას განიხილავს მიკრობანკის ამლ და შესაბამისობის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია პრეტენზიების განხილვის ვადების დაცვასა და პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. პრეტენზიის განხილვის შედეგები დაუყოვნებლივ ეცნობება მსესხებელს პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტური ფორმით.

6. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

6.1. მიკრობანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მსესხებელს ამავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების დაუყოვნებელივ, ვადაზე ადრე დაფარვა იმ შემთხვევაში, თუ:

6.1.1. მსესხებელი ან უზრუნველყოფის მიმწოდებელი რომელიმე პირი, ან მათი უფლებამონაცვლეები დაარღვევენ მათ მიერ მიკრობანკის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს;

6.1.2. გაუარესდება მსესხებლის (ან თავდების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფინანსური ან/და ქონებრივი მდგომარეობა და საფრთხე შეექმნება ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას;

6.1.3. ადგილი ექნება მსესხებლის მხრიდან მცდარი, არასწორი ინფორმაციის მიწოდებას მიკრობანკისათვის;

6.1.4. განადგურდება, დაზიანდება ან ღირებულებით შემცირდება უზრუნველყოფის საგნ(ებ)ი და არ მოხდება მსესხებლის მხრიდან ჩანაცვლება/შევსება;

6.1.5. მსესხებლის მხრიდან დაირღვევა კრედიტის მიზნობრიობა;

6.1.6. მკვეთრად შემცირდება მსესხებლის კაპიტალი ან ბიზნეს აქტივები;

6.1.7. მსესხებელი არ შეასრულებს 4.2.2 პუნქტში მითითებულ ვალდებულებას;

6.1.8. ადგილი ექნება კრედიტის გადახდის შეთანხმებული ვად(ებ)ის/გრაფიკის დარღვევას;

6.1.9. მსესხებელი უარს განაცხადებს ცალმხრივად შეთავაზებულ ხელშეკრულების ცვლილებებსა ან/და დამატებებზე.

6.1.10. მსესხებლის კუთვნილ ნებისმიერ ქონებას ან/და საბანკო ანგარიშს დაედება ყადაღა, ინკასო ან/და გავრცელდება სხვა უფლებრივი შეზღუდვა.

7. პერსონალური მონაცემების დამუშავება

7.1 მონაცემთა სუბიექტი, როგორც იმავდროულად მსესხებელი, აცნობიერებს, რომ მის მიერ კრედიტის აღებისა და წინამდებარე ხელშეკრულების დადების, ასევე ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით მიკრობანკს ენიჭება უფლება მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მოქმედი კანონმდებლობით და პერსონალური მონაცემების დამუშავების საინფორმაციო დოკუმენტით (განთავსებულია მიკრობანკის ვებ გვერდზე www.crystal.ge) გათვალისწინებული წესით და ფარგლებში.

7.2 მიკრობანკი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დამუშავებული პერსონალური მონაცემების დამუშავებისას დაიცვას კანონით განსაზღვრული პრინციპები, მათ შორის უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა.

7.3 საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში პერსონალური მონაცემების გადაცემა:

7.3.1 მსესხებლისთვის ცნობილია, რომ მიკრობანკი შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

7.3.2 მსესხებლის (იგივე მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მიკრობანკი, როგორც მონაცემების დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

7.4 მსესხებელი, როგორც მონაცემთა სუბიექტი, ვალდებულია მის იმ პერსონალურ მონაცემებში, რაც მიკრობანკის მიერ მუშავდება (საიდენტიფიკაციო, საკონტაქტო, ფინანსური მონაცემები), ცვლილების განხორციელებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 3 (სამი) დღის ვადისა, წერილობით აცნობოს მიკრობანკს, როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, რათა მოახდინოს საკუთარი უფლებების პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაში სრულყოფილი და შეუფერხებელი რეალიზაცია.

8. სხვა პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

8.2. ნებისმიერი დამატება ან ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებში, ძალაშია თუ იგი შესრულებულია წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვით.
8.3. მიკრობანკის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ცალმხრივად ცვლილებისას მსესხებლის ინფორმირება განხორციელდება ხელშეკრულების თავსართით დადგენილი წესით/ვადაში.
8.4. მიკრობანკის საზედამხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი, მის: თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2.
8.5. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
8.6. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
8.7.მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოებში ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოებში.
8.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მსესხებელს.
8.9. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შედგენილი იქნება ქართულ და უცხოურ ენაზე, ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას.

9. მხარეთა ხელმოწერები

“მიკრობანკი“	**"მსესხებელი(მომხმარებელი)/ წარმომადგენელი"**
წარმომადგენელი: _____	_____
იდენტიფიკაციის შემსრულებელი: _____	/ სახელი და გვარი სრულად/